სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

თარიღი: 29 მაისი 2025 წ.

სხდომის ოქმი № 8

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი (ტექსტში შემდგომ - ,,წესი“) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

1.2. წესის მიზანია უზრუნველყოს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო მიზნების, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისა და უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

1.3. წესის დანიშნულებაა მასში გათვალისწინებული დებულებებისა და პროცედურების მეშვეობით უზრუნველყოს უნივერსიტეტის მოთხოვნებისა და საკონკურსო მონაცემების ობიექტური შეფასება, მათი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებისა და საერთო ინტერესების მომცველი შრომითსამართლებრივი კავშირის ჩამოყალიბება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება უნივერსიტეტის კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

2.1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება, 6 წლის ვადით.

2.2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, 4 წლის ვადით.

2.3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ხოლო სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 4 წლის ვადით.

2.4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორანტი 4 წლის ვადით, ხოლო სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს მაგისტრანტი, 2 წლის ვადით.

2.5. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) აკადემიური თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელსაც არა აქვს მოპოვებული დოქტორის/მაგისტრის აკადემიური ხარისხი, მაგრამ მისი კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და შემოქმედებითი საქმიანობით. ასეთ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია უნდა შემოწმდეს დანართი 1-ით განსაზღვრული კრიტერიუმებით და აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნებით.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

3.1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო, რომელიც უფლებამოსილია, წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნების გარდა, თითოეული მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვროს დამატებითი მოთხოვნები.

3.2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დამატებით, რომელიმე საინფორმაციო წყაროს საშუალებით. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 10 დღე, რის შემდეგაც საკონკურსო კომისიის მიერ ხდება შესაბამისი კანდიდატურის შერჩევა.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

3.4. კონკურსი ჩაითვლება ჩაშლილად თუ:

ა) არცერთი განცხადება არ იქნება წარმოდგენილი.

ბ) ვერცერთმა კონკურსანტმა ვერ დააგროვა მინიმალური ქულა.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

4.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს საბუთების მიმღებ უფლებამოსილ პირს, რომელიც განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

4.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია უფლებამოსილ პირს მატერიალური და ელექტრონული სახით წარუდგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის ან/და პასპორტის ასლი;

გ) საკონკურსო განაცხადი (ანკეტა);

დ) უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი (გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი);

ე) სამეცნიერო ხარისხის/ წოდების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (გარდა საშემსრულებლო მიმართულებებისა);

ზ) სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობა, რომელშიც მიეთითება ინფორმაცია, მათ შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ;

თ) საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო–პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა ან/და შესაბამისი დოკუმენტის ასლი;

ი) პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს დარგის სწავლების (BA/MA/PhD) კონცეფცია;

კ) პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა დისციპლინის საავტორო სილაბუსების წარდგენა სამივე - საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო (სამივე საგანმანათლებლო საფეხურის არსებობის შემთხვევაში) საფეხურზე.

ლ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა საავტორო სილაბუსების (საბაკალავრო და სამაგისტრო) წარდგენა (გარდა იმ პროგრამებისა, რომელსაც შესაბამისი საფეხური არ გააჩნია).

მ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა საბაკალავრო დონეზე დისციპლინის საავტორო სილაბუსების და შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელის (ქვემიმართულების შემთხვევაში – ქვემიმართულების ხელმძღვანელის)/დეკანის რეკომენდაციის წარდგენა;

ნ) ასისტენტობის კანდიდატმა კომისიას უნდა წარუდგინოს შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელის ან შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი რეკომენდაცია. საშემსრულებლო-შემოქმედებით მიმართულებებზე ასისტენტობის კანდიდატს, შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე, ასისტენტის თანამდებობაზე დასანიშნად ირჩევს ფაკულტეტის საბჭო მის მიერვე განსაზღვრული საკონკურსო მოთხოვნების საფუძველზე.

ო) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების აკრედიტებულ პროგრამებში გაწერილ კურსებს (იხ. უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთული პროგრამების კატალოგები);

პ) იმ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ კონკურსი ცხადდება კონკრეტული საგანმანათლებლო საფეხურის კონკრეტულ სპეციალობაზე, ამ შემთხვევაში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სილაბუსი/სილაბუსები.

4.4. არსებობის შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) აქტივობის (შემოქმედებითი, სამეცნიერო-პედაგოგიური და ა.შ.) დამადასტურებელი მასალა: შემოქმედებითი ნამუშევრის ელექტრონული ვერსია, აფიშა, პროგრამა ან ბმული ინტერნეტიდან, რაც დაადასტურებს კონკურსანტის ავტორობას, თანაავტორობას ან ასისტენტობას (დოკუმენტად ითვლება შესაბამისი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ გაცემული ოფიციალური ცნობა). კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ბოლო 10 წლის განმავლობაში განხორციელებული შემოქმედებითი აქტივობების (სპექტაკლი, ფილმი, კონცერტი და აშ.) ამსახველი დოკუმენტაცია;

ბ) გამოცემული პროფილური შრომები - მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები, რეცენზიები (ნაშრომების სიაში მითითებული უნდა იყოს გამოცემის ადგილი, გამომცემლობა და გამოცემის წელი, სტატიის შემთხვევაში, კრებულის/ჟურნალის ნომერი, საწყისი და ბოლო გვერდების ნომრები), ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს სატიტულო გვერდი, სარჩევის გვერდი, რათა დადასტურდეს ავტორის ვინაობა, გვერდების რაოდენობა, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა და წელი);

შენიშვნა: თეორიული მიმართულების კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ბოლო 10 წლის განმავლობაში შექმნილი პროფილური შრომები, სტატიები, კონფერენციების მასალები, ბროშურები, რეცენზიები და სხვ. ეს ვადა არ ეხება პროფილურ წიგნებსა და მონოგრაფიებს.

გ) საქართველოს ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) სხვა სახის აქტივობები ან/და დოკუმენტაცია, რომელსაც კომისია აფასებს დანართი 1-ის მიხედვით.

4.5. საკონკურსო განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

4.6. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტები აღიწერება საბუთების მიმღები უფლებამოსილი პირის მიერ და ილუქება უნივერსიტეტის კანცელარიის ბეჭდით კონკურსანტის თანდასწრებით (გარდა კონკურსანტის მიერ დასწრებაზე უარის განცხადებისა).

მუხლი 5. საკონკურსო კომისია და გადაწყვეტილების მიღების წესი

5.1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია (შემდგომში - „საკონკურსო კომისია“), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 ან 5 წევრით და მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით.

5.2. საკონკურსო კომისია შესაძლებელია შედგებოდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტების საგანმანათლებლო-სამეცნიერო, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენლებისა და შესაბამისი დარგის მოწვეული (მათ შორის უცხოელი) სპეციალისტებისაგან. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, შექმნას ერთდროულად რამდენიმე საკონკურსო კომისია ფაკულტეტებისა და მიმართულებების მიხედვით.

5.3. კომისიის მუშაობისას, საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად, შესაძლებელია შესაბამისი დარგის ექსპერტის/ექსპერტების მოწვევა.

5.4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის სტატუსით, ან პირი, რომელიც კონკურსანტი ახლო ნათესავია. მსგავსი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში წევრი ვალდებულია მოითხოვოს აცილება.

5.5. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობა, საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას, რომელიც აისახება კომისიის სხდომის ოქმში, იღებს ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით. სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება მიღებისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

6.10. აკადემიური საბჭოს მიერ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილება ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ/გვერდზე და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს.

5.6. დაუშვებელია საკონკურსო კომისიასა ან მის რომელიმე წევრზე (წევრებზე) კონკურსანტის ან პრეტენდენტის მიერ ან/და მათი სახელით რაიმე სახის ან ფორმის ზეწოლა საკონკურსო კომისიაში მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 6. კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება, კონკურსანტის შეფასება

6.1. საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო კომისიას გადაეცემა უფლებამოსილი პირის მიერ საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებისთანავე დალუქულ მდგომარეობაში.

6.2. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება კომისიის მიერ საკონკურსო კომისიის სხდომაზე, რომელიც დახურულია. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი კომისიის მუშაობის პროცესში და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე.

საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ.

6.3. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულესა და შესაბამისობას წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის შესაბამის კრიტერიუმში შეუფასებლობის ან/და კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე, ხოლო სავალდებულო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

6.4. საკონკურსო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნებისა და აკადემიურის საბჭოს მიერ განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6.5. საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას აფასებს დანართი N1-ით დადგენილი ქულობრივი სისტემით თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და ქულათა ჯამით გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსანტმა უნდა დააგროვოს მინიმალური ქულების შემდეგი რაოდენობა: პროფესორი - 200 ქულა; ასოცირებული პროფესორი - 150 ქულა; ასისტენტ-პროფესორი - 100 ქულა; ასისტენტისათვის ქულათა მინიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული.

6.6. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში კომისია განსაზღვრავს გასაუბრების თარიღს, რომელიც ეცნობება კონკურსანტებს. გასაუბრების შედეგად კომისია გამოავლენს კონკურსის გამარჯვებულს ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 7. კონკურსის შედეგების გასაჩივრება და სააპელაციო კომისია

7.1. კონკურსანტს კონკურსის შედეგების გასაჩივრება აკადემიური საბჭოს დადგენილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შეუძლია სააპელაციო განცხადებით, რომელსაც განიხილავს სააპელაციო კომისია.

7.2. სააპელაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით, რომელიც მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, საკონკურსო კომისიასთან ერთად უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით. სააპელაციო კომისიის მინიმუმ ერთი წევრი მოწვეული უნდა იყოს სხვა უნივერსიტეტიდან.

7.3. საბუთების მიმღები უფლებამოსილი პირი სააპელაციო განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში სააპელაციო კომისიას უგზავნის, როგორც სააპელაციო განცხადებას, აგრეთვე განმცხადებლის მიერ, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას სრულად.

7.4. სააპელაციო კომისია აფასებს კონკურსანტს საბუთების მიმღები უფლებამოსილი პირის მიერ გადაცემული დოკუმენტაციისა საფუძველზე, წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

7.5. სააპელაციო კომისია სააპელაციო განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას , რომელსაც წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

7.6. თუ ამ მუხლით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული, სააპელაციო კომისიის საქმიანობაზე ვრცელდება საკონკურსო კომისიისათვის განსაზღვრული საკითხები.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. საკონკურსო და სააპელაციო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა შესაბამის პასუხისმგებელ პირს. კონკურსანტს მისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტები (ასევე, სხვა მასალები), მათი ქსეროასლები კი რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) უნივერსიტეტის კანცელარიაში.

8.2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მისი დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

8.3. წინამდებარე წესის რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად დებულების სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას.

8.4 წინამდებარე წესსა და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას შორის სამართლებრივი კოლიზიის დროს, უპირატესობა მიენიჭება მოქმედ კანონმდებლობას.

8.5. წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე. მისი დამტკიცების უფლებამოსილება გააჩნია წარმომადგენლობით საბჭოს.

8.6. წინამდებარე წესის ამოქმედებით, ძალას კარგავს უნივერსიტეტში უკვე არსებული წარმომადგენლობით საბჭოზე დამტკიცებული დოკუმენტი და იურიდიული ძალა გააჩნია მხოლოდ წინამდებარე წესს.

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის დანართი №1 - უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნების განმსაზღვრელი ქულების მინიჭების სისტემა:

1. აკადემიური ხარისხი თითოეულზე:

ა) დოქტორი (პროფილური) - 10 ქულა;

ბ) დოქტორი (არაპროფილური) – 4 ქულა;

გ) მაგისტრი (პროფილური) – 5 ქულა; წარჩინებით + 1 ქულა;

დ) მაგისტრი (არაპროფილური) – 3 ქულა;

ე) ბაკალავრი (პროფილური) – 4 ქულა; წარჩინებით + 1 ქულა;

ვ) ბაკალავრი (არაპროფილური) – 2 ქულა;

შენიშვნა: მედიის მიმართულებაზე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ჩაითვლება პროფილურ დოქტორად.

2. პროფილური პედაგოგიური ან/და სამეცნიერო-კვლევითი სტაჟი ავტორიზებულ უსდ-ში:

ა) სამეცნიერო-კვლევითი თანამდებობა: 1 წელი – 1 ქულა;

ბ) პედაგოგიური (მოწვეული): 1 წელი - 1 ქულა;

გ) აკადემიური თანამდებობა: 1 წელი - 2 ქულა;

3. სილაბუსი:

ა) სასწავლო კურსთან შინაარსობრივი შესაბამისობა, კონცეფციისა და სწავლების მეთოდის სიცხადე, შესაბამისობა მიზნებთან და შედეგებთან, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის დისციპლინასთან შესაბამისობა - 0-დან 2 ქულამდე;

ბ) სტრუქტურული გამართულობა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა, სილაბუსის ფორმის შესაბამისობა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულ ფორმასთან - 0-დან 1 ქულამდე;

შენიშვნა: ამ კრიტერიუმებით ცალ-ცალკე ფასდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი თითოეული სილაბუსი, როგორც სწავლების სამივე საფეხურზე, ისე ერთსა და იმავე სწავლების დონეზე. შემდეგ იკრიბება ყველა ცალკეული სილაბუსის ქულა და ვიღებთ საბოლოო შეფასებას, ერთ კონკრეტულ კრებით ციფრს;

4. სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელობა:

ა) პროგრამის ხელმძღვანელობა - თითოეული 9 ქულა;

ბ) მიმართულების ხელმძღვანელობა - 1 წელი - 2 ქულა;

5. სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის პროფილური ნაშრომი (სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სტატია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სამეცნიერო აპარატით (სქოლიო; გადამოწმებული ინფორმაცია) და გამოქვეყნებულია რეფერირებულ ჟურნალში ან კრებულში):

ა) ნაშრომი ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში ან კრებულში: თითოეული - 2 ქულა;

ბ) ნაშრომი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ან კრებულში: თითოეული - 4 ქულა;

გ) ნაშრომი უცხოეთში გამოცემულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ან კრებულში: თითოეული - 6 ქულა;

დ) ნაშრომი უცხოეთში გამოცემულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ან კრებულში, რომელიც ატვირთულია აკადემიური ჟურნალების საერთაშორისო ბაზაში: თითოეული - 7 ქულა.

6. წიგნი (წიგნად ითვლება გამომცემლობის მიერ პოლიგრაფიულად დასტამბული ან ელექტრონულად გამოცემული, გრიფირებული და შესაბამის ვებგვერდებზე, მათ შორის, ელექტრონული ბიბლიოთეკების ვებგვერდებზე, გამოქვეყნებული ნაშრომი, რომლის მოცულობა არ უნდა შეადგენდეს 80 გვერდზე ნაკლებს):

ა) პროფილური სახელმძღვანელო, პროფილური მონოგრაფია: თითოეული - 10 ქულა;

ბ) სამეცნიერო-პოპულარული (ან მიმოხილვითი ხასიათის) წიგნი, ლექსიკონი: თითოეული - 8 ქულა;

გ) პროფილური დამხმარე სახელმძღვანელო, პროფილური წიგნის, სახელმძღვანელოს თარგმანი: თითოეული - 7 ქულა;

დ) პროფილური ბროშურა, ბუკლეტი (მოცულობა 25-დან 79 გვერდამდე): პროფილური კატალოგი, ალბომი, ხელოვანის წერილების ან სხვა მასალის კრებული (შემდგენელი, რედაქტორ-გამომცემელი); პროფილური სასწავლო-საცნობარო, მეთოდოლოგიური ლიტერატურა (მეთოდოლოგიური მითითებანი, სასწავლო მასალა და სხვ.); სტატიების კრებულის თარგმანი: თითოეული - 5 ქულა;

ე) პროფილური სტატიის თარგმანი: თითოეული - 2 ქულა;

7. პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული გრანტის (პროექტის დაფინანსების), სტიპენდიის მიღება:

ა) დაფინანსების ქართული წყაროს შემთხვევაში: თითოეულზე - 3 ქულა;

ბ) დაფინანსების უცხოური წყაროს შემთხვევაში: თითოეულზე - 5 ქულა;

8. პროფილურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა:

ა) მომხსენებლის რანგში საქართველოში (ადგილობრივი): თითოეული - 3 ქულა;

ბ) მომხსენებლის რანგში საქართველოში (საერთაშორისო): თითოეული - 4 ქულა;

გ) მომხსენებლის რანგში საზღვარგარეთ: თითოეული - 5 ქულა;

დ) სასტენდო მოხსენება ადგილობრივ პროფილურ სამეცნიერო კონფერენციაში - 2 ქულა;

ე) სასტენდო მოხსენება საზღვარგარეთ პროფილურ სამეცნიერო კონფერენციაში - 3 ქულა;

ვ) ორგანიზატორი - ადგილობრივი: თითოეული - 4 ქულა;

ზ) ორგანიზატორი - საერთაშორისო: თითოეული - 6 ქულა;

თ) საორგანიზაციო საბჭოს წევრი - ადგილობრივი: თითოეული - 2 ქულა;

ი) საორგანიზაციო საბჭოს წევრი - საერთაშორისო: თითოეული - 3 ქულა;

9. კონფერენციაზე წაკითხულ, გამოქვეყნებულ ან საკვალიფიკაციო სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებით:

ა) სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა: თითოეული – 8 ქულა;

ბ) სადოქტორო ნაშრომის თანახელმძღვანელობა (სახელოვნებო მიმართულების თეორიული ნაწილი): თითოეული – 4 ქულა;

გ) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა: თითოეული – 4 ქულა;

დ) სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობა: თითოეული - 2 ქულა;

ე) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა: თითოეული – 2 ქულა;

ვ) სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა: თითოეული – 3 ქულა;

ზ) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა: თითოეული – 2 ქულა;

თ) საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა: თითოეული – 1 ქულა;

ი) სადოქტორო ნაშრომის ექსპერტობა: თითოეული – 3 ქულა;

კ) სტუდენტის საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა: თითოეული - 1 ქულა;

ლ) საბაკალავრო ნაშრომის კონსულტანტობა: თითოეული – 1 ქულა;

მ) სამაგისტრო ნაშრომის კონსულტანტობა: თითოეული – 2 ქულა;

ნ) სადოქტორო ნაშრომის კონსულტანტობა: თითოეული – 3 ქულა;

10. სამეცნიერო ან სარედაქციო საბჭოს წევრობა:

ა) სამეცნიერო საბჭოს წევრობა: თითოეული – 2 ქულა;

ბ) სარედაქციო საბჭოს წევრობა: თითოეული - 1 ქულა;

გ) დარგობრივი საბჭოს წევრობა: თითოეული-2 ქულა;

11. წიგნის, კრებულის რედაქტორობა, რეცენზენტობა, კონსულტანტობა:

ა) პროფილური სახელმძღვანელოს რედაქტორობა: თითოეული – 3 ქულა;

ბ) პროფილური დამხმარე სახელმძღვანელოს/სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა: თითოეული – 2 ქულა;

გ) პროფილური მონოგრაფიის რედაქტორობა: თითოეული – 3 ქულა;

დ) პროფილური სახელმძღვანელოს რეცენზენტობა: თითოეული – 2 ქულა;

ე) პროფილური დამხმარე სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის რეცენზენტობა: თითოეული - 1 ქულა;

ვ) პროფილური წიგნის კონსულტანტობა: თითოეული – 1 ქულა;

12. პროფილურ საგანმანათლებლო-შემოქმედებით, საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო სფეროს პროექტებში, ფესტივალები (მათ შორის: თეატრალური, კინოტელე, ქორეოგრაფიული და მუსიკალური ფესტივალები და სხვა ღონისძიებები), „ვორქშოფები“, ლექცია, მასტერკლასებში მონაწილეობა, ტრენერობა და ხელმძღვანელობა:

ა) ადგილობრივი - მონაწილეობა: თითოეული – 1 ქულა;

ბ) საერთაშორისო - მონაწილეობა: თითოეული – 3 ქულა;

გ) ადგილობრივი - ხელმძღვანელობა: თითოეული - 4 ქულა;

დ) საერთაშორისო - ხელმძღვანელობა: თითოეული - 5 ქულა;

ე) ადგილობრივი ფესტივალში მიღებული პრიზები და პრემიები: თითოეული - 1 ქულა;

ვ) საერთაშორისო ფესტივალში მიღებული პრიზები და პრემიები: თითოეული - 3 ქულა;

ზ) ადგილობრივი ფესტივალის/კონკურსის ჟიურის წევრობა - 2 ქულა;

თ) საერთაშორისო ფესტივალის/კონკურსის ჟიურის წევრობა - 4 ქულა;

ი) ადგილობრივი ფესტივალის/კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეობა - 4 ქულა;

კ) საერთაშორისო ფესტივალის/კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეობა - 6 ქულა;

ლ) ადგილობრივი ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის წევრობა - 2 ქულა;

მ) საერთაშორისო ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის წევრობა - 3 ქულა;

ნ) სხვა ადგილობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტის შექმნა-განხორციელებაში მონაწილეობა (მათ შორის, თემატური ტელერადიო-მულტიმედიური პროდუქტი) - 2 ქულა;

ო) სხვა ადგილობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტის ავტორობა (მათ შორის, თემატური ტელერადიო-მულტიმედიური პროდუქტი) - 3 ქულა;

პ) სხვა საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტის შექმნა-განხორციელებაში მონაწილეობა (მათ შორის, თემატური ტელერადიო-მულტიმედიური პროდუქტი) - 3 ქულა;

ჟ) სხვა საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტის ავტორობა (მათ შორის, თემატური ტელერადიო-მულტიმედიური პროდუქტი) - 5 ქულა;

რ) სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციის (მათ შორის, ფოლკლორული) ორგანიზება ან მონაწილეობა - 3 ქულა;

ს) ადგილობრივი მასტერკლასები, ვორქშოპები - ტრენერი: თითოეული - 3 ქულა;

ტ) საერთაშორისო მასტერკლასები, ვორქშოპები - ტრენერი: თითოეული - 4 ქულა;

13. პროფესიული საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების წევრობა, ექსპერტობა:

ა) ადგილობრივი ორგანიზაციის წევრობა: თითოეული - 1 ქულა;

ბ) საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა: თითოეული - 2 ქულა;

გ) ადგილობრივი ორგანიზაციის ექსპერტობა: თითოეული - 2 ქულა;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტობა: თითოეული - 4 ქულა:

14. საკვალიფიკაციო/საკონკურსო კომისიათა წევრობა, თავმჯდომარეობა:

ა) საკვალიფიკაციო ნაშრომთა დაცვის კომისიის წევრობა (ბაკალავრიატი): თითოეული – 1 ქულა;

ბ) თავმჯდომარეობა (ბაკალავრიატი): თითოეული – 2 ქულა;

გ) საკვალიფიკაციო ნაშრომთა დაცვის კომისიის წევრობა (მაგისტრატურა): თითოეული – 2 ქულა;

დ) თავმჯდომარეობა (მაგისტრატურა): თითოეული – 3 ქულა;

ე) საკვალიფიკაციო ნაშრომთა დაცვის კომისიის წევრობა (დოქტორანტურა): თითოეული – 3 ქულა;

ვ) თავმჯდომარეობა (დოქტორანტურა): თითოეული – 4 ქულა;

ზ) საკონკურსო კომისიის წევრობა - 2 ქულა;

თ) საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეობა - 3 ქულა;

15. სადისერტაციო საბჭოში საქმიანობა:

ა) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობა (1 წელი) - 1 ქულა;

ბ) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობის მოადგილეობა (1 წელი) - 0.75 ქულა;

გ) სადისერტაციო საბჭოს მდივნობა (1 წელი) - 0.5 ქულა;

დ) სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის თავმჯდომარეობა (1 წელი) - 1 ქულა;

ე) სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მდივნობა (1 წელი) - 0.5 ქულა.

16. პროფესიული მოღვაწეობისათვის მიღებული პროფილური პრემია, სიგელი, ჯილდო:

ა) რუსთაველის სახელობის - 10 ქულა;

ბ) სახელმწიფო - 6 ქულა;

გ) სახელობითი - 3 ქულა;

დ) ყოველწლიური და სხვ. – 2 ქულა;

ე) საერთაშორისო - 5 ქულა;

ვ) სიგელი - 1 ქულა;

ზ) ჯილდო - 2 ქულა.

18. საერთაშორისო აკადემიური გამოცდილება:

ა) უცხოეთის უნივერსიტეტებში სამეცნიერო/პედაგოგიური მუშაობა - თითოეული მიწვევა - 4 ქულა.

19. უცხო ენის ფლობა:

ა) ნებისმიერი უცხო ენის ცოდნა არანაკლებ C1 დონეზე - თითოეულის - 6 ქულა;

ბ) ნებისმიერი უცხო ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე - თითოეულის - 4 ქულა;

გ) ნებისმიერი უცხო ენის ცოდნა B1 დონეზე - თითოეულის - 2 ქულა;

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია გადაამოწმოს პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია უცხო ენის ცოდნასთან დაკავშირებით თავად ან/და შესაბამისი სპეციალისტის მოწვევის საშუალებით.

20. უნივერსიტეტის საშემსრულებლო ფაკულტეტებზე (დრამისა და კინო ტელე) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატები ასევე შეფასდებიან:

20.1. ჯგუფის ხელმძღვანელი:

ა) ჯგუფის ხელმძღვანელობა: 1 წელი - 3 ქულა;

ბ) თითოეულ გამოშვებულ ჯგუფზე ხელმძღვანელის რანგში დამატებით: 1 წელი -1 ქულა;

- სრული საბაკალავრო კურსი: 4 წელი - 4 ქულა;
- სრული სამაგისტრო კურსი: 2 წელი - 2 ქულა;
- სრული სადოქტორო კურსი: 3 წელი - 3 ქულა;

20.2. ჯგუფის ხელმძღვანელის ასისტენტობა შესაბამისი სპეციალობით:

ა) ჯგუფის ხელმძღვანელის ასისტენტობა შესაბამისი სპეციალობით : 1 წელი - 1 ქულა;

ბ) თითოეულ გამოშვებულ ჯგუფზე ასისტენტის რანგში დამატებით: 1 წელი -1 ქულა;

- ბ) სრული საბაკალავრო კურსი: 4 წელი - 4 ქულა;
- გ) სრული სამაგისტრო კურსი: 2 წელი - 2 ქულა;

21. შემოქმედებითი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გამოცდილება:

ა) თეატრი, კინოსტუდია, ტელევიზია, ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლი და სხვ. - 1 წელი - 1 ქულა;

22. შემოქმედებითი გამოცდილება:

ა) პროფესიული თეატრების სცენებზე განხორციელებული სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი: თითოეული - 5 ქულა;

ბ) საზღვარგარეთ განხორციელებული სპექტაკლი - 7 ქულა;

გ) სასწავლო პროცესის ფარგლებში განხორციელებული სპექტაკლი - 4 ქულა;

დ) პროფესიული და სასწავლო თეატრის სცენებზე სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორის ასისტენტობა: თითოეული – 2 ქულა.

22.1. სრულმეტრაჟიანი მხატვრული და ანიმაციური ფილმი (თითოეული)

ა) დამდგმელი რეჟისორი - 10 ქულა;

ბ) რეჟისორი (თანარეჟისორი) - 8 ქულა;

გ) სცენარის ავტორი - 5 ქულა;

დ) დამდგმელი ოპერატორი - 7 ქულა;

ე) ოპერატორი - 5 ქულა;

ვ) ხმის რეჟისორი - 5 ქულა;

ზ) მონტაჟის რეჟისორი - 5 ქულა;

თ) პროდუსერი - 8 ქულა.

22.2. სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი (თითოეული):

ა) რეჟისორი- 8 ქულა;

ბ) სცენარის ავტორი - 5 ქულა;

გ) დამდგმელი ოპერატორი - 6 ქულა;

დ) ოპერატორი - 5 ქულა;

ე) ხმის რეჟისორი - 5 ქულა;

ვ) მონტაჟის რეჟისორი - 5 ქულა;

ზ) პროდუსერი - 8 ქულა;

22.3. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის რეჟისორი - თითოეული 5 ქულა.

22.4. სერიალის რეჟისორი - თითოეული სერია - 3 ქულა.

22.5. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმი (თითოეული):

ა) რეჟისორი - 5 ქულა;

ბ) სცენარის ავტორი - 3 ქულა;

გ) დამდგმელი ოპერატორი - 4 ქულა;

დ) ოპერატორი - 3 ქულა;

ე) ხმის რეჟისორი - 3 ქულა;

ვ) მონტაჟის რეჟისორი - 3 ქულა;

ზ) პროდუსერი - 5 ქულა;

23.6. სრულმეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური ფილმის რეჟისორის, ოპერატორის,

ხმის რეჟისორის ასისტენტობა: თითოეული - 3 ქულა;

23.7. სრულმეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური ფილმის რეჟისორის, ოპერატორის, ხმის რეჟისორის ასისტენტობა: თითოეული - 3 ქულა;

23.8. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური ფილმის რეჟისორის, ოპერატორის, ხმის რეჟისორის ასისტენტობა: თითოეული - 2 ქულა;

23.9. ნებისმიერი ჟანრის და სახის ტელეპროდუქციის რეჟისურა (თოქ-შოუ, გადაცემათა ციკლი, საავტორო გადაცემა და ა.შ): თითოეული - 3 ქულა;

23.10. სასწავლო და პროფესიულ სცენებზე დადგმული საკონცერტო/ქორეოგრაფიული პროგრამა: თითოეული - 3 ქულა;

23.11. სპექტაკლში ცეკვის დადგმა: თითოეული - 1 ქულა;

23.12. საკონცერტო მუსიკალური პროგრამა: თითოეული - 3 ქულა;

23.13. სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება: თითოეული - 1 ქულა;

23.14. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება: თითოეული - 1 ქულა;

23.15. ფილმის ქორეოგრაფიული გაფორმება: თითოეული – 1 ქულა;

23.16. სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა (მუსიკალური, ქორეოგრაფიული ნომრით): თითოეული – 1 ქულა;

23.17. თეატრში, კინოში განხორციელებული როლები: თითოეული – 1 ქულა;

23.18. ნებისმიერი ჟანრის და სახის ტელეპროდუქციის რეჟისურა (თოქშოუ, გადაცემათა ციკლი, საავტორო გადაცემა და ა.შ): თითოეული - 3 ქულა;

23.19. მედიაპროდუქტის შექმნაში მონაწილეობა (ავტორი, კორესპონდენტი), რეჟისორი, პროდუსერი, წამყვანი): ერთი მედია პროდუქტი - 1 ქულა, გადაცემათა ციკლი - 3 ქულა;

შენიშვნა:

სპექტაკლის ქორეოგრაფიული და მუსიკალური გაფორმებისათვის ქულები დაეწერება მხოლოდ შესაბამისი (სამუსიკო და ქორეოგრაფიული) მიმართულების კონკურსანტს.

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ბოლო 10 წლის მანძილზე განხორციელებული შემოქმედებითი და სამეცნიერო აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.